თვალის დახამხამებაში: გრძელი გზა ყარაბაღიდან სომხეთამდე

ევია ჰოვჰანისიანი

კონტექსტის მიმოხილვა:

ორ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მთიან ყარაბაღში კონფლიქტი გამწვავდა, რამაც თითქმის მთელი ეთნიკური სომხური მოსახლეობის იძულებით გადაადგილება გამოიწვია. მიუხედავად ბაქოს პირობისა ეთნიკური სომხების უფლებების დაცვის შესახებ, უმეტესობამ ნაჩქარევად დატოვა რეგიონი, ძალადობის და ენის გამოყენების უფლების, მათი რელიგიის და წეს-ჩვეულებების შესაბამისად ცხოვრების თავისუფლებების დაკარგვის შიშით. სხვადასხვა გამოთვლებით, მთიან ყარაბაღში დარჩა რამდენიმე ათეული ეთნიკური სომეხი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით არ ტოვებენ საცხოვრებელს: არ სურთ მათი ნათესავების საფლავების დატოვება, ზოგი კვლავ იმედოვნებს, რომ დაკარგულ შვილებს იპოვის, ზოგი მოხუცებულ მშობლებზე ან პატრონის გარეშე დარჩენილ ცხოველებზე ზრუნავს.

2020 წლის ექვსკვირიანი ომის დროს აზერბაიჯანმა სომხური ძალებისგან დაიბრუნა მთიანი ყარაბაღის მნიშნველოვანი ნაწილი და მისი მეზობელი ტერიტორიები, რომლებიც სამი ათწლეულის მანძილზე იყო დაკავებული. ამ ომის შედეგად 37000-მდე ადამიანმა იპოვა თავშესაფარი სომხეთში,[1] და რამდენიმე ათასი ადამიანი გადავიდა დაკავებული ტერიტორიებიდან ყარაბაღის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ სომხური ძალების კონტროლის ქვეშ იყო. 6000-ზე მეტი ადამიანი (ორივე მხრიდან) დაიღუპა ბრძოლაში, რომელიც რუსეთის შუამავლობით დადებული სამშვიდობო შეთანხმებით დასრულდა. მოსკოვმა რეგიონში 2000-მდე სამშვიდობო გაგზავნა.[2]. 2020 წლის ომის შემდეგ სომხურ საზოგადოებაში იმედი გაჩნდა, რომ სამშვიდობო ძალები გარკვეული ხნით სტაბილურობას უზრუნველყოფდადა სომხეთსა და ყარაბაღს ომის დამანგრეველი შოკისგან რეაბილიტაციის საშუალებას მისცემდა. თუმცა, ეს იმედები არ გამართლდა. სამშვიდობო ძალებმაა არა მხოლოდ არაფერი გააკეთეს ყარაბაღში სომეხი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, არამედ მათ რეგიონში მოქმედების მკაფიო მანდატიც კი არ გააჩნდათ.[3]

---

[1] ადამიანები ლტოლვილების მსგავს მდგომარეობაში, ხელმისაწვდომია: 03.12.2023, URL: https://www.unhcr.org/am/en/persons-in-refugee-like-situation.

[2] Sargsyan L., რუსული სამხედრო ძალები არცახში: მანდატის ბუნდოვანება, გამოქვეყნებულია: 19.05.2021, ნანახია: 25.11.2023, URL: https://evnreport.com/politics/russian-peacekeepers-in-artsakh/.

[3] ომის შემდგომი პერსპექტივა მთიანი ყარაბაღისთვის, გამოქვეყნებულია: 09.06.2021, ნანახია: 03.12.2023, URL: https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/nagorno-karabakh-conflict/264-post-war-prospects-nagorno-karabakh.

2023 წლის სექტემბერში სომხების მასობრივი გადასახლების შემდეგ, რეგიონის დედაქალაქის (რომელსაც სომხები სტეფანკერტს ხოლო აზერბაიჯანელები ხანკენდის უწოდებენ) ქუჩები, ცარიელი დარჩა და სავსე იყო ნაგვით, დამწვარი ნივთებითა და დოკუმენტებით. გადასახლების დროს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დააკავა ყარაბაღის მთავრობის რამდენიმე ყოფილი წევრი და ეთნიკურ აზერბაიჯანელებს, რომლებსაც სამი ათეული წლის წინ ყარაბაღის პირველი ომის დროს მოუწიათ რეგიონის დატოვება, დაბრუნებისკენ მოუწოდა. 23 ნოემბრის ყოველდღიურ ბიულეტენში რუსი სამშვიდობოები აცხადებენ, რომ 19 სექტემბრიდან მათ დაშალეს 12 მუდმივი და 16 დროებითი სადამკვირვებლო პუნქტი რეგიონში. რაოდენ წინააღმდეგობრივადაც არ უნდა ჟღერდეს, რუსული სამშვიდობოები აგრძელებენ დავალებების შესრულებას 18 სადამკვირვებლო პუნქტზე და ბაქოს [დაკარგული] მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ უსაფრთხოების და ჰუმანიტარული სამართლის დაცვისკენ მიმართული მათი საქმიანობის შესახებ აცნობენ.[4]

მთიანი ყარაბაღის დატოვება სომხურმა მოსახლეობამ თითქმის მაშინვე დაიწყო, რაც აზერბაიჯანულმა ძალებმა რეგიონზე კონტროლი დაამყარეს. რამდენიმე დღეში ყველაფერი დასრულდა: თითქმის მთელი მოსახლეობა გაიქცა, უკან დატოვა ყველაფერი, რისი ტარებაც არ შეეძლოთ. „19 სექტემბრამდე ერთი კვირით ადრე უკვე ვიგრძენით, რომ აზერბაიჯანის ჯარები გადაადგილდებოდნენ სოფლების ახნაღბიურის და ავეტარანოტსის მიდამოებში. ჩვეულებრივი დილა იყო, არავის ეგონა, რომ ბრძოლა დაიწყებოდა, ჩვენ 90-იანი წლებიდან მიჩვეული ვართ, რომ შეტევა ჩვეულებრივ გამთენიისას იწყება, დილის 5-6 საათზე, ამჯერად ბრძოლა დაიწყო 19 სექტემბერს შუადღისას, პირველ საათზე“, - იხსენებს მთიანი ყარაბაღის სოფლის კარმირის ყოფილი მეთაური ჰოვიკი.[5] არავინ ელოდა, რომ ეს მხოლოდ რამდენიმე დღეში მოხდებოდა. ასობით მანქანა, სახურავებზე მთელი სიცოცხლის მანძილზე დაგროვებული ქონებით, ნელა მოძრაობდა ლაჩინის დერეფნის გასწვრივ - ერთადერთ გზაზე მთიან ყარაბაღსა და სომხეთს შორის. შემდეგ ავტობუსები, სატვირთო და სასწრაფო დახმარების მანქანები მთის გზებზე გრძელ რიგებში ჩამწკრივდნენ. „ჩემმა ქმარმა ფეხი დაკარგა ყარაბაღის პირველ ომში, 1992 წელს“, - ამბობს კარინე, დევნილი მარტაკერტელი ქალი, - „გვეშინოდა, რომ როგორც კი თურქი მესაზღვრეები ჩვენს დაკითხვას დაიწყებდნენ, მიხვდებოდნენ, რომ ჟორიკი ომის ვეტერანი იყო და საზღვრის გადაკვეთის უფლებას არ მისცემდნენ. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ უმჯობესი იქნებოდა, მანქანას ჰაკარის ხიდზე სამხედრო

[4] რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო ბიულეტენი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყარაბაღის ეკონომიკური რეგიონის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების საქმიანობის შესახებ, გამოქვეყნებულია 23.09.2023, ნანახია: 25.11.2023, URL: https://mil.ru/russian_peacekeeping_forces/bulletins/more.htm?id=12487279@egNews.

[5] Davtyan A., Makiyan H., "შენ შეგიძლია აღიდგინო სახლი, თუმცა ვერ აღადგენ სამშობლოს“: სოფელი არცახის მეთაური ჰოვიკ პეტროსიანი, გამოქვეყნებულია: 30.11.2023, ნანახია: 02.12.2023 URL: https://rb.gy/6jg3b5.

გამშვები პუნქტი გაევლო და ასე დარჩენილიყო შეუმჩნეველი. ასეც მოხდა. გვითხრეს, ფეხით გაგვევლო, სანამ ჩემი მეუღლე ხიდზე მანქანით გადავიდოდა. ფეხებზე ქურთუკი დავაფარე, რომ არაფერი შეემჩნიათ და კითხვები არ დაესვათ. გვეშინოდა, რომ ომში მონაწილე მამაკაცებს არტახიდან არ გაუშვებდნენ, ამიტომ გაგვიმართლა".[6] 60-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა მძიმე და გრძელი მოგზაურობის დროს, რომელსაც 40 საათზე მეტი დასჭირდა. გადასახლება მოჰყვა აზერბაიჯანის მიერ რეგიონის ცხრათვიან ბლოკადას, რის შედეგადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი დადგა არასრულფასოვანი კვების, დეჰიდრატაციის და მედიკამენტების ნაკლებობის პრობლემების წინაშე.

2022 წლის 12 დეკემბრიდან, თვეების განმავლობაში, აზერბაიჯანმა გადაკეტა ლაჩინის დერეფანი, ერთადერთი და ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გზა, რომელიც აკავშირებს სომხეთსა და ყარაბაღს. არცახის მოსახლეობა სომხეთს ეყრდნობოდა მედიკამენტებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის, საყოფაცხოვრებო საქონლისა და სხვა მარაგის, მათ შორის საკვების ტრანსპორტირებისთვის. ბლოკადის მიზანი მთიანი ყარაბაღის მოსახეობაში შიმშილის გამოწვევა და მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო. ბლოკადა ასევე ზამთრის შუა პერიოდს დაამთხვიეს. აზერბაიჯანის მთავრობამ გადაკეტა სომხეთიდან მთიან ყარაბაღში მიმავალი გაზსადენი ბუნებრივი აირით და ასევე შეაფერხა ელექტროენერგიის მიწოდება, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობას არ შეეძლო სახლების, სკოლებისა და საწარმოების გათბობა, ხოლო ელექტროენერგიის შეწყვეტა კვლავაც ართულებს მოსახლეობის მდგომარეობას. ძირითადი მიზანი ადგილობრივი სომხების ეთნიკური წმენდა იყო გზის გახსნის შემდეგ სახლებიდან მათიიძულებით გადასახლებით.

2022 წლის დეკემბერში აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის ბლოკადის შემდეგ, სომხეთის მთავრობამ მოსახლეობის ჰუმანიტარული პრობლემების გადასაჭრელად სპეციალური სამუშაო ჯგუფი შექმნა. შემდგომში ის გადაიქცა „ჰუმანიტარულ ცენტრად", რომელიც სომხური მხრიდან ლაჩინის დერეფნის შესასვლელთან სოფელ კორნიძორთან დაარსდა. 19 სექტემბერს აზერბაიჯანის ფართომასშტაბიანი თავდასხმის შემდეგ, ჰუმანიტარულ ცენტრს დაევალა იძულებით გადაადგილებულთა მიღებისა და სასწრაფო განსახლების საჭიროებების მართვა.[7] ამის შემდეგ ლტოლვილები[8] რეგისტრაციისთვის გადაიყვანეს გორისში, უახლოეს სომხურ ქალაქში

[6] ყარაბაღიდან იძულებით გადაადგილებულ ოჯახთან ინტერვიუ მეტსამორის სასტუმროში, 15.10.2023.

[7] Abrahamyan G., არსებული სერვისები არცახიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, გამოქვეყნებულია: 03.10.2023, ნანახია: 26.11.2023, URL: https://evnreport.com/new-updates/services-available-for-the-forcibly-displaced-from-artsakh/.

[8] ტექსტში ტერმინები ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირები გამოიყენება ერთი მნიშვნელობით ურთიერთშენაცვლებით.

აზერბაიჯანისა და მთიანი ყარაბაღის საზღვართან. რამდენიმე დღეში დაორგანიზდა გორისიდან ქვეყნის მასშტაბით ქალაქებში ავტობუსებით ლტოლვილების გადაყვანა.

არსებული მდგომარეობა: სამართლებრივი სტატუსი, ჰუმანიტარული პირობები და საცხოვრისთან დაკავშირებული საკითხები

2.8 მილიონიანი მოსახლეობით და დაახლოებით 25%-იანი სიღარიბის მაჩვენებლით,[9] ზამთრის მოახლოებასთან ერთად სომხეთს შესაძლოა მნიშვნელოვანი სირთულეები შეექმნას დევნილთა საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით. დაახლოებით 102 000 ლტოლვილიდან ნახევარზე მეტი ქალი და გოგონაა, თითქმის მესამედი ბავშვია და თითქმის მეხუთედი მოხუცი.[10] ლტოლვილთა დაახლოებით ნახევარი სოფლების მაცხოვრებელია. ადრე სოფლის მეურნეობა მეორე უმსხვილესი დასაქმების სექტორი იყო სამხედრო სამსახურის შემდეგ. ის ყარაბაღელი სომხების საქმიანობის და შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო. „ადამიანისთვის, რომელმაც თავისი სიცოცხლე მიუძღვნა მიწის დამუშავებას, ოთხ კედელში დარჩენა ძნელია, ჩვენს ბაღში ყველაფერი იზრდებოდა, გვქონდა საქონლის სადგომი და ვაწარმოებდით ყველაფერს, რაც გვჭირდებოდა: ხილი, ბოსტნეული, ყველი, რძე, იოგურტი. ერთ დღეში დავკარგეთ ყველაფერი, რასაც წლების განმავლობაში ვქმნიდით, ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო, თუმცა ჩემს ასაკში ძნელია ამის გაკეთება“- თქვა სლავიკმა გულისწყვეტით.[11] სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო პროგრამა ხორციელდება დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, ძირითადად ყარაბაღელი მასწავლებლებისთვის, ექიმებისთვის, ჟურნალისტებისთვის და სხვა პროფესიონალებისთვის. თუმცა, ბიზნესითა და სოფლის მეურნეობით დაკავებული არაერთი ადამიანი, რომლებმაც ყველაფერი დატოვეს - საქონელი, სასოფლო-სამეურნეო მიწა და მაღაზიები - ახლა იძულებულია ყველაფერი თავიდან დაიწყოს. მათი მთელი ცხოვრება განადგურებულია. უახლოეს თვეებში მათ საკუთარი ცხოვრების აღდგენა მოუწევთ: საცხოვრებელი სახლების, სამუშაოს მოძებნა და პირადი ნივთების შეძენა, რადგან უმეტესობას თითქმის არაფერი ჰქონდა თან სომხეთში ჩამოსვლისას.

ამჟამად, ლტოლვილთა უმეტესობა ცხოვრობს გადატვირთულ ბინებში ან სასტუმროებში, რომლებიც უზრუნველყოფილია მეგობრების, ნათესავების ან სახელმწიფოს მიერ. მიუხედავად

---

[9] სოციალური სურათი და სიღარიბე სომხეთში, 2023, სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკური კომიტეტი, ხელმისაწვდომია: https://armstat.am/en/?nid=82&id=2617.

[10] Arellano E.B., ‘რა მომავალი გვაქვს?’: ლტოლვილების ისტორიები სომხეთიდან, გამოქვეყნებულია: 21.11.2023, ნანახია: 26.11.2023, URL: https://www.actionagainsthunger.org/story/which-future-do-we-have-stories-from-families-fleeing-nagorno-karabakh/.

[11] Tovmasyan Kh., სასტუმრო მეტსამორი - დროებითი საცხოვრისი, გამოქვეყნებულია: 08.11.2023, ნანახია: 02.12.2023, URL: https://rb.gy/z49yrl.

იმისა, რომ ყველას აქვს ჭერი თავზე, ბევრი მათგანი ცხოვრობს გადაუდებელ თავშესაფარში, ყოველგვარი კეთილმოწყობის გარეშე, სათანადო ფანჯრების, იზოლაციის ან/და გათბობის, ავეჯის ან/და ტუალეტების გარეშე. ქირავნობის ბაზარზე არსებული ფასებით, თითქმის შეუძლებელია სათანადო საცხოვრისის პოვნა გონივრულ ფასად. ლტოლვილების მცირე ნაწილი უსახლკაროა, ცხოვრობს სკოლებსა და საბავშვო ბაღებში და ელოდება უფრო გრძელვადიან საცხოვრებელს. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს გრძელვადიანი საცხოვრებლის პრობლემის გადაწყვეტა და ცივი ამინდებისთვის მომზადება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამან შეიძლება გამოიწვიოს ხელახალი გადაადგილება უკეთესი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოსაძებნად. ლტოლვილებმა სახლები დატოვეს თბილ ამინდში მხოლოდ აუცილებელი ნივთებით, რისი წამოღებაც შეეძლოთ. ამის გამო მოსახლეობა ზამთრის პირობებს არასაკმარისად მომზადებული ხვდება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უახლესი შეფასებით, სომხეთში ლტოლვილთა თითქმის მეხუთედი განიცდის ფსიქიკურ პრობლემებს რთული გადასახლების გამოცდილების შემდეგ.[12] ყარაბაღიდან იძულებით გადაადგილებული ანჟელა ყარაბაღის დატოვების დღეს იხსენებს - „ეს დღე, 29 სექტემბერი, ძალიან მძიმე იყო. სტეფანკერტში ძალიან ცოტა ხალხი იყო დარჩენილი, ძალიან გვეშინოდა, მე და ჩემი შვილი სტეფანკერტის მთავარ მოედანზე ვიყავით 3 დღე დღე და ღამე. 29 სექტემბერს სომხეთისკენ ბოლო ავტობუსები გადიოდა. ჩვენ მოვახერხეთ ერთ-ერთ ავტობუსში ასვლა."[13] დევნილები გადაუდებელი სიტუაციებით გამოწვეულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს ებრძვიან, მათ შორის ოჯახის წევრების გარდაცვალებას, უსაფრთხოების ნაკლებობას, ოჯახების განცალკევებას, საარსებო წყაროს დაკარგვას და სოციალური კავშირების გაწყვეტას. ამას ამძაფრებს იძულებით გადაადგილების უკიდურესად ხანმოკლე პერიოდი, რამაც შეუძლებელი გახადა ლტოლვილებისთვის შოკის გადამუშავება. ბევრი ყარაბაღელი სომეხისთვის ეს არ არის იძულებითი გადასახლების პირველი გამოცდილება. ბევრმა მათგანმა ეს გაიარა 1990-იანი წლების დასაწყისში და ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ. „სახლის დაწვა მინდოდა, მაგრამ გამბედაობა არ მეყო, ჭურჭელი გავრეცხე და ისე მოვაწყვე, თითქოს სტუმარი იყო მოსული... ხეებზე ხურმა ბევრი იყო წელს. დაე, თურქებმა [აზერბაიჯანელებმა] შეჭამონ ისინი. მე დავწერე წერილი, რომ ამ სახლში

[12] "ერთი ღრმა ძილის შემდეგ ყველას შეუძლია ცხოვრების გაგრძელება. არავინაა უიმედოდ." სომეხი ლტოლვილებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური სერვისების გაზრდა, გამოქვეყნებულია: 10.11.2023, ნანახია: 26.11.2023, URL: https://rb.gy/3424h6.

[13] Davtyan A., Makiyan H., Sarkisova A., Baghdasaryan S., იძულებითი გადაადგილება. მოხუც დედას და შვილს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებით განცალკევება არ სურს, გამოქვეყნებულია: 24.11.2023, ნანახია: 02.12.2023, URL: https://hetq.am/hy/article/162299.

ცხოვრობდნენ პატიოსანი, ღვთისმოსავი ხალხი, ამიტომ ვთხოვე, სისუფთავე შეინარჩუნონ, ასევე ვთხოვე, რომ ჩემი ყვავილები მორწყან. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, რაც სახლის დატოვება მიწევს, პირველად სუმგაიტში იყო, მესამედ არ მინდა სახლის დატოვება, ახალგაზრდობის დროს არ ვცხოვრობდი, ახლაც არ ვცხოვრობ... დავბერდი სახლების აშენებაში" - დევნილი ქალის ეს გულდასაწყვეტი ისტორია გორისის ყარაბაღიდან დევნილთა სარეგისტრაციო ცენტრის მოხალისემ ნარინე ვარდანიანმა ჩაწერა.[14]

დევნილთა სტატუსი ამჟამად მნიშვნელოვანი დავის საგანია. 26 ოქტომბერს სომხეთის მთავრობამ დაამტკიცა „დროებითი დაცული სტატუსი“ მთიანი ყარაბაღიდან დევნილებისთვის. პრემიერ მინისტრმა ფაშინიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ახლად შემოღებული სტატუსი მიზნად ისახავს დაზარალებულთა უფლებების დაცვას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონტექსტში.[15] დროებითი დაცული სტატუსის მიღების წინაპირობები მოიცავს ყველა პირს, რომლებიც ოფიციალურად არიან რეგისტრირებული როგორც მთიანი ყარაბაღის მცხოვრებლები; რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ სომხეთში ან მის ფარგლებს გარეთ, რომელთა ბოლო რეგისტრირებული მისამართი იყო მთიან ყარაბაღში; და პირები, რომლებიც თავდაპირველად არ იყვნენ რეგისტრირებული მთიან ყარაბაღში, თუმცა იქ ცხოვრობდნენ და შემდგომ დარეგისტრირდნენ სომხეთის მიგრაციისა და მოქალაქეობის სამსახურში 19 სექტემბერს ქვეყანაში შემოსვლის შემდგომ. პრემიერ-მინისტრმა ფაშინიანმა თქვა, რომ ყოფილი ყარაბაღის მაცხოვრებლებისთვის კიდევ ერთი ალტერნატივაა სომხეთის მოქალაქეობის მიღება. თუმცა, ამ განცხადებამ ყარაბაღელი სომხების გაკვირვება და შეურაცხყოფა გამოიწვია, რომლებიც უკვე მოქალაქეებად თვლიდნენ თავს იმის გათვალისწინებით, რომ მათზე სომხური პასპორტები 1999 წლიდან იყო გაცემული.[16] თუმცა, პასპორტები გაიცა სომხეთის და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრების შეთანხმების საფუძველზე კონკრეტულად როგორც საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტი. ყარაბაღელ სომხებს არასოდეს ჰქონდათ წვდომა სომხეთის მოქალაქეებისთვის მინიჭებულ პოლიტიკურ უფლებებზე, მათ შორის ხმის მიცემის უფლებაზე. ეს უკანასკნელი პირდაპირ უკავშირდებოდა რეგისტრაციის ადგილს. მთავრობის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების შემდეგ, რომლითაც სომხეთის რესპუბლიკის პასპორტების მქონე ყარაბაღის

[14] ციტატის წყაროა ნარინ ვარდანიანის ფეისბუქ პოსტი 29.09.2023.

[15] Badalyan S., ყარაბაღელი ლტოლვილების სომხეთი მოქალაქეობა კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული, გამოქვეყნებულია: 25.10.2023, ნანახია: 26.11.2023, URL: https://www.azatutyun.am/a/32653936.html.

[16] Shahverdyan L., სომხეთი ლტოლვილის სტატუსს სთავაზობს ყარაბაღიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, გამოქვეყნებულია: 30.10.2023, ნანახია: 26.11.2023, URL: https://eurasianet.org/armenia-to-offer-refugee-status-to-displaced-karabakhis.

მთელ მოსახლეობას დე ფაქტო სომხეთის მოქალაქეობა ჩამოერთვა, იძულებით გადაადგილებულ პირებს მრავალი ახალი პრობლემა შეექმნათ ქვეყანაში შესვლის, ქვეყნის დატოვების და რეგისტრირებულ სამუშაო ადგილზე დასაქმების კუთხით.[17]

სომხეთის მთავრობამ მალევე მიიღო გადაწყვეტილება და დაამტკიცა შესაბამისი პროცედურები ყარაბაღიდან იძულებით გადაადგილებულ თითოეულ რეგისტრირებულ პირზე ერთჯერადად 100 000 დრამის (დაახლოებით $250) ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ. გარდა ამისა, თითოეული რეგისტრირებული ლტოლვილი ექვსი თვის განმავლობაში სახელმწიფოსგან მიიღებს 50 000 დრამს (დაახლოებით $120) ბინის ქირაობისა და კომუნალური ხარჯების დასაფარად. თუმცა, სამწუხაროდ, არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები ამ მოკლევადიანი დახმარების იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტისთვის ხელმისაწვდომობის კუთხით. ბევრმა მოხუცმა არ იცისა როგორ და სად მიიღოს ეს ფინანსური დახმარება, როგორ მოამზადოს დოკუმენტები სომხეთში პენსიის მისაღებად და ა.შ.

ჰუმანიტარული დახმარება: შიდა და გარე აქტორების მხარდაჭერის პოლიტიკები ლტოლვილებისთვის

2023 წლის ოქტომბრის დასაწყისში ლტოლვილთა დიდი უმრავლესობა სამხრეთიდან ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, ერევნის გარშემო, იყო უკვე გადასული. დარჩენილები ძირითადად მოხუცები ან შშმ პირები იყვნენ, ან ისინი, ვისაც სომხეთში ნათესავები არ ჰყავდათ, რომლებიც დაეხმარებოდნენ. ლტოლვილები ამჟამად დასახლებულნი არიან სომხეთის სხვადასხვა რეგიონში, უდიდესი ნაწილი ცხოვრობს ერევანში (38%), სიუნიკში (16%), კოტაიკში (8%) და არარატში (7%).[18] ლტოლვილთა უმეტესობა დასახლდა ისეთ ადგილებში, სადაც ჰყავდათ ნათესავები, ჰქონდათ სერვისებზე და დახმარებაზე წვდომა. არაოფიციალური მონაცემებით, 6000-ზე მეტმა ლტოლვილმა უკვე დატოვა სომხეთი სხვა ქვეყნებში გასამგზავრებლად.

ბოლო 30 წლის განმავლობაში სომხეთმა გაიარა ეთნიკურად სომხური მოსახლეობის მიგრაციის რამდენიმე ტალღა: ასობით ათასი სომეხი გადავიდა სომხეთში აზერბაიჯანიდან, ერაყიდან, სირიიდან და ახლა ყარაბაღიდან. ყარაბაღის სომხებსა და სომხეთის მასპინძელ სომეხ მოსახლეობას შორის დიალექტური და მცირე სოციალურ-კულტურული განსხვავებების

[17] Grigoryan T., არცახის მოქალაქეების ინტეგრაციის პრობლემა და მთავრობის პრობლემური მიდგომა, გამოქვეყნებულია: 29.11.2023, ნანახია: 02.12.2023, URL: https://rb.gy/1n4izk.

[18] სამოქმედო გეგმა სომეხი ლტოლვილებისთვის ოქტომბერი 2023 - მარტი 2024, გამოქვეყნებულია: 07.10.2023, ნანახია: 25.11.2023, URL: https://rb.gy/bc1h3y.

მიუხედავად, 2020 წლის ყარაბაღის ომისა და 2023 წლის სექტემბერში მასობრივი გადასახლების შემდეგ, სომხური საზოგადოება მეტ-ნაკლებად მზადაა ახალმოსახლეების ინტეგრაციისთვის. თუმცა, სრული ინტეგრაცია, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებული იქნება ეკონომიკურ მდგომარეობაზე და შრომის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობებზე.

ყარაბაღიდან იძულებით დევნილი სომხების ჩამოსვლამ მრავალი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გამოწვევა შექმნა. მასპინძელმა თემებმა სოლიდარობისა და კეთილშობილების სულისკვეთება გამოავლინეს, ოჯახებმა გახსნეს კარი ლტოლვილებისთვის. მოხალისეები, ეროვნული და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები გაერთიანდნენ ლტოლვილების დასახმარებლად. 10 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში საველე ბანაკები მოეწყო სასაზღვრო ქალაქებში გორისსა და ვაიკში დროებითი საველე სამზარეულოთი და სამედიცინო პუნქტებით, ასევე ჰუმანიტარული დახმარებით ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. უზარმაზარი ადამიანური ძალისხმევა ჩადო ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელმაც ათასობით ლტოლვილი შეიფარა საკუთარ სახლებში. რამდენიმე ასეული მოზარდი ერთ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში ბანაკებში მოხალისედ მუშაობდა შესვენების გარეშე. ადამიანთა გამძლეობისა და მზრუნველობის მრავალი ისტორია იმ დღეებიდან დღემდე უცნობია.[19]

ამავდროულად, ჰუმანიტარულმა პარტნიორებმა, მათ შორის გაეროს სააგენტოებმა, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა (ასევე დიასპორულმა ორგანიზაციებმა), სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის საერთო ხელმძღვანელობით, გააფართოვეს თავიანთი საქმიანობა, რათა მხარი დაუჭირონ სომხეთის სახელმწიფოს კოორდინირებულ და ინტეგრირებულ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს გადაუდებელი საარსებო საჭიროებების დაკმაყოფილებას და ლტოლვილი და მასპინძელი თემების გაძლიერებას. სომხეთის გადაუდებელი რეაგირების გეგმა ლტოლვილებისთვის[20] 7 ოქტომბერს ამოქმედდა. გეგმა ითვალისწინებს 97 მილიონი აშშ დოლარის დახმარებას ექვსი თვის განმავლობაში 2024 წლის მარტის ბოლომდე. ის მიზნად ისახავს 231,000 ადამიანის, მათ შორის 136,000 ლტოლვილის (როგორც 2020 წლის ომის, ასევე 2023 წლის მასობრივი გადასახლების შედეგად) და

[19] Merdinyan, I., ვაიკის სარეგისტრაციო ცენტრიდან აიდას ძებნაში, გამოქვეყნებულია: 01.12.2023, ნანახია: 03.12.2023, URL: https://evnreport.com/spotlight-karabakh/from-vayks-registration-center-in-search-of-aida/.

[20] სამოქმედო გეგმა სომეხი ლტოლვილებისთვის ოქტომბერი 2023 - მარტი 2024, გამოქვეყნებულია: 07.10.2023, ნანახია: 25.11.2023, URL: https://rb.gy/bc1h3y.

ადგილობრივი მასპინძელი თემის 95,000 წევრის მხარდაჭერას.[21] გარდა ამისა, რამდენიმე ქვეყანამ სომხეთს ფულადი და არაფულადი დახმარება უკვე შესთავაზა. საერთო ჯამში, ევროკავშირმა და 15-მა ქვეყანამ 66,3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დახმარება დაანონსეს.[22]

თუმცა, ბევრი საკითხი ჯერ კიდევ ღიაა და არ გააჩნია მკაფიო და სისტემატიზებული პასუხი ან რეაგირების მექანიზმი. ამ მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიუხედავად, რაც ასევე შესაძლებელი გახდა სომხური მოსახლეობის და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით, სომხეთის მთავრობის მთავარი ამოცანაა სომხეთში გადასახლებული ყარაბაღელი ლტოლვილების საშუალო და გრძელვადიანი ინტეგრაცია მოახდინოს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლტოლვილთა თითქმის ნახევარი ქალი და გოგოა. იძულებითი გადაადგილების სიტუაციებში, ისინი შეიძლება დაექვემდებარონ რისკებს, როგორიცაა გენდერული ნიშნით ძალადობა, სექსუალური ექსპლუატაცია და არასათანადო მოპყრობა, ტრეფიკინგი და შრომითი ექსპლუატაცია. გარდა ამისა, ყარაბაღის ომში ათასობით მამაკაცი დაიღუპა, ქალებს ხშირად მარტო უწევთ ბავშვებსა და სხვა სარჩენ პირებზე ზრუნვა. მარტოხელა დედები და მრავალშვილიანი ოჯახები განსაკუთრებით მოწყვლადი არიან სიღარიბის მიმართ. ამრიგად, მრავალგანზომილებიანი სიღარიბის რისკი ლტოლვილებს შორის, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებში, როგორებიც არიან მარტოხელა ქალები, ოჯახები ქალებით სათავეში, ბავშვები, ქრონიკული დაავადებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, აივ ინფიცირებული ადამიანები, ლგბტიქ+ ადამიანები და ხანდაზმული პირები, ძალიან მაღალია.

მთავარი პასუხგაუცემელი კითხვაა, მიეცემათ თუ არა ყარაბაღელ სომხებს მოკლევადიან თუ გრძელვადიან პერსპექტივაში დაბრუნების შესაძლებლობა. არაერთი დევნილი ამბობს, რომ ისინი განიხილავენ მათი ქონებისთვის დაბრუნებას, თუკი ეს საერთაშორისო დაცვის ქვეშ მოხდება. ზოგიერთი ოჯახებთან ერთად უფრო გრძელვადიან დაბრუნებასაც განიხილავს, თუ აზერბაიჯანი უზრუნველყოფს სომხურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობას და სამოქალაქო, პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული უფლებებით დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობის შესაძლებლობას. თუმცა, დევნილი სომხების მთავარი სურვილია, ნათესავების საფლავიების მონახულება შეძლონ, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მაინც, შესაძლოა სპეციალურად შეთანხმებულ

[21] სომხეთი: გაერო ყარაბაღიდან გამოქცეული ლტოლვილების გადაუდებელი დახმარებისთვის მოწოდებას ავრცელებს გამოქვეყნებულია: 07.10.2023, ნანახია: 02.12.2023, URL: https://news.un.org/en/story/2023/10/1142017.

[22] Nazaretyan H., საერთაშორისო დახმარება იძულებით გადაადგილებული არცახელი სომხებისთვის, გამოქვეყნებულია: 07.10.2023, ნანახია: 26.11.2023, URL: https://evnreport.com/new-updates/foreign-aid-for-forcibly-displaced-artsakh-armenians/.

თარიღებზე, როგორიცაა აღდგომა ან 2 მაისი - ყარაბაღელი სომხებისთვის ტრადიციულად სასაფლაოზე გასვლის დღე.

მასალა მომზადებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) და კვინა ტილ კვინას მიერ მხარდაჭერილი პროექტის, „კონფლიქტების ტრანსფორმაციის წახალისება კონფლიქტებთან დაკავშირებული ისტორიის კრიტიკული გადააზრების და ქალთა პერსპექტივების გაძლიერებით“, ფარგლებში. SIDA და კვინა ტილ კვინა, შესაძლოა, არ ეთანხმებოდნენ აქ წარმოდგენილ მოსაზრებებს. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი.